საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ვახტანგ გორგასლის ორდენი



ვახტანგ გორგასლის ორდენი, სამხედრო ორდენი. დააწესა საქართვ. პარლამენტმა 1992 წ. 24 დეკემბერს. აჯილდოებენ საქართვ. სამხ. მოსამსახურეებს, რ-ებმაც სამშობლოს დაცვისა და ერთიანობისათვის ბრძოლაში გამოიჩინეს თავდადება და მამაცობა, უნარიანი ხელმძღვანელობით უზრუნველყვეს სამხ. ნაწილებისა და ქვეგანაყოფების წარმატება, შეიმუშავეს და განახორციელეს საბრძოლო ოპერაციები. ვ. გ. ო-ით აჯილდოებენ აგრეთვე სპორტსმენებსა და კულტ. მოღვაწეებს განსაკუთრებული დამსახურებისათვის. ვ. გ. ო. სამი ხარისხისაა. დაჯილდოება ხდება შემდეგი თანამიმდევრობით: III ხარისხის ორდენით აჯილდოებენ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს გამოჩენილი მაღალი საბრძოლო მომზადებისათვის, II ხარისხის ორდენით – სამხ. ხელმძღვანელობის მიერ მიცემული საბრძოლო დავალების წარმატებით შესრულებისათვის, I ხარისხის ორდენით – ერისა და სამშობლოს წინაშე განსაკუთრებული დამსახურებისა და თავგანწირვისათვის. ვ. გ. ო-ის ავტორები: გ. ავსაჯანიშვილი, ე. ბურჯანაძე. იხ. აგრეთვე სტ. ორდენები საქართველოსი.

ლიტ.: ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ნ., ქართული ფალერისტიკა (ჯილდოთმცოდნეობა), თბ., 1995.